F 310/1913

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ვერძი

ლიტერატურა,
ხელოვნება,
კრიტიკა.

კვირა
16 ივნისი.

ფასი 10 კ.

№ 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოქროს ვერძი“

მისამართი:

Кутаисъ, Казаковскій пер. „ОКРОСЪ ВЕРДЗИ.“ ჟურნალის დასაკვეთი ფასი უნდა გამოიგზავნოს კანტორის სახელზე. ტელეგრამებისათვის: Кутаисъ „ВЕРДЗИ“

ყოველკვირეული ჟურნალი „ოქროს ვერძი“ გამოდის 19 მაისიდან.

ჟურნალი ემსახურება ლიტერატურას, ხელოვნებას და კრიტიკას.

თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი გამოჩენილი თანამედროვე მწერლები.

წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **დამატებათ** კრებულები ჩვენი ახალგაზდა მგოსნების და ბელეტრისტების ნაწერებიდან შედგენილი.

მიიღება ხელის მოწერა.	1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	საზღვარ გარეთ ერთი-ორათ.
	5 მ.	2 მ. 50 კ.	1 მ. 50 კ.	40 კ.	

განცხადებები შერიგებით. ცალკე № ყველგან 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

ორშაბათის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„თემი“

რედაქცია და კანტორა: Тифлисъ Редакція газ. „ТЕМИ“.

გაზეთი სდგას პარტიათა გარეშე გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით. როგორც

1911 და 1912 წელს.

ის ხელისმომწერლები, რომელნიც ამ ხანად გადიხდიან გაზეთის წლიურ ფასს მიიღებენ

ორ პრემიათ

1. **ს. აბაშელის** ლექსთა კრებულს ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და **ბ. ივანე გომართელის** კრიტიკული წერილით..
2. **ქ. მაჭავარიანის** ლექსთა კრებულს ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ.; ნახევარ წლით—1 მ. 25 კ. ერთი თვით—25 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. დიასამიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 310
1913

სიყვარული.

ნ. ჩხიკვაძე.

ბაღში ვნახე ტურფა ვარდი ეკლის ბუჩქზედ ამოსული,
მძივად მსხვრეულ მზის სხივებით შემკული და გაფურჩქნული,
სიოს კოცნით ირხეოდა ლურჯ ფოთლებით შეფუთნული
და შორიდან, მოკრძალებით უგალობდა მას ბულბული.
გამიკვირდა მისი ქცევა, ვსთქვი თუ იგი რამ შეშალა?
ვარდთან რა აქვს მას საერთო? რა სურვილი დაეძალა?
მიველ ვკითხე: რად უგალობ? მასში რაა დაფარული?..
ის შეშითა შეფოთხიალდა, გასაფრენად ფრთა გაშალა,
დასტვინა და სიმღერითა მიპასუხა: „სიყვარული!“

* *
*

ვნახე ქალი, ცაცხვის ძირში გულ ამოსკვნით ცრემლსა ღვრიდა,
მწუხარებით შენაზარი ხუჭუჭ თმებსა დაბლა ჰყრიდა,
ხან უსიტყვოდ ქვითინებდა, ხან სიკვდილსა ინატვრიდა
და ცივ ქვაზედ უბედური მწუხარებით თავსა ხრიდა.
გამიკვირდა მისი ხვედრი, შემებრალა განაწირი,
მომესურვა, რომ გამეგო მისი სევდა-გასაჭირი
და ვკითხე მას; რა გამწარებს? ვინ გყავს ქალო დაკარგული?
შეშითა და მოკრძალებით მოიბრუნა ჩემსკენ პირი,
საფლავისკენ მიმითითა და მომიგო: — „სიყვარული!“

* *
*

ვნახე გმირი მკლავ-მედგარი, ახალგაზდა, სავსე სრული,
ველად ეგდო სულთ მობრძავი მტრის ისრითა განგმირული,
მაგრამ იგი არ კვნესოდა მამულისთვის განწირული,
და ბრძოლისთვის სხვებს იწვევდა მისი სიტყვა, ხმა გმირული.
გამიკვირდა საქმე მისი, ვაკაცობა საოცარი,
მიველ მასთან, მივესალმე და თამამად ეს ვუთხარი:
—ესდენ ძალას აწ რა გაძლევს: რის დაჭრილსა გხდება სული?..
მან მომაპყრო სიყვარულით სახე თვისი მოღიმარი,
შეშობელ მიწას ხელი დაჰკრა და მომიგო: — „სიყვარული!..“

ნ. ჩხიკვაძე.

F 887

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ღამე

გ. ტაბიძე.

ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუა-ღამე იწვის, დნება.
სიო სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.

რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი.

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი ღვინით სავსე
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სივრცეში მოვათავსე.

მხოლოდ ღამემ უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ..

იცის — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაბინდრანათა ტაგორ:*)

გიტანჯალი (მსხვერპლთ-შეწირვანა).

ბავშები თამაშობენ უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს.
ბავშები აშენებენ სილისაგან თავიანთ სახლებს და თამაშობენ ცალიერ სადაფებით.
გაყვითლებულ ფოთოლთაგან ხლართავენ ისინი გემებს და მხიარული სიცილით ჩაუშვებენ მათ უსაზღვრო ოკეანეში.
ბავშები თამაშობენ ურიცხვ ქვეყანათა ნაპირს.
მოთამაშეთ არ იციან არც ცურვა და არც ბადის სროლა.
მარგალიტთა მაძიებელნი ყვინავენ სადაფთა საძიებლად; ნაოსანნი ამზადებენ გემებს და მომართვენ მათ, ხოლო ბავშები კენჭებს აგროებენ, რომ შემდგომ გააბნიონ ისინი.
მოთამაშენი არ ეძებენ დაფარულ საუნჯეს და არც იცლიან ბადის სროლას, ზღვა ხითხითებს ტალღებით და სუსტი ღიმილით აკვდება შემდგომ ნაპირის სილას.
სასიკვდილო ტალღანი უმღერიან ბავშებს სიმღერებს, უმნიშვნელოს, ნანას უმღერიან, ვით დედა ბავშის აკვანის მრწეველი.
ზღვა თამაშობს ბავშებთან და სუსტათ ციალობს ტალღათა მკრთალი ღიმილი ნაპირის სილაზე.
ბავშები ხვდებიან ერთმანეთს უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს.
ქარიშხალი მიაქანებს აბნეულ ღრუბლებს;
გემები იღუპებიან უკიდო ზღვათა წიაღში;
სიკვდილია ყველგან, ბავშები კი განაგრძობენ თამაშს.
უსაზღვრო ქვეყანათა ნაპირს უკუნით იკრიბებიან ბავშები.

ᲨᲐᲠᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲛᲑᲐᲫᲔ

---

*) თანამედროვე ინდოეთის მგოსანი. გადაითარგმნა ინგლისურ ენაზე და სულ ᲝᲛᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲝᲗᲮᲯᲔᲠ გამოისა. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულთამხილავის მსჯავრი.

ღმერთის წინაშე ორი ადამიანი წასდგა.

უცვლელი სახე უფალმა მათ მიაპყრო და გულთამხილავი თვალებით დააცქერდა.

— იცოდით ნება ჩემი?

— ვიცოდი, უფალო! წამიკითხავს დაბადება, შემისწავლია წმინდა სახარება, სამოციქულო, წმიდა მამათა ცხოვრება; ზეპირათ ვიცი საგალობელნი და ლოცვები.—მოახსენა ერთმა

მეორე სდუმდა.

— შენ?—დაეკითხა მდუმარეს ღმერთი.

— არ ვიცი, არ წამიკითხავს.

შეასრულეთ ნება ჩემი? —იკითხა კიდევ უფალმა.

— გზითა მართლითა ვიდოდი; საპყართა განვიკითხავდი; მიყვარდა ძმა ჩემი, ვითარცა თავი ჩემი; შენ მხოლოდ ერთსა თაყვანსა გცემდი.—მიუგო პირველმა.

მეორე სდუმდა.

— შენ?—დაეკითხა მდუმარეს ღმერთი.

— არ მახსოვს, უფალო, და, მგონია, არც ყოფილა რაიმე რამ.

— შეასრულე ათი მცნება? განაგრძო უფალმა დაკითხვა, თუმცა ყოველივე იცოდა უზენაესმა.

— დიახ, უფალო! არც ერთი არ დამირღვევია!—მიუგო პირველმა.

მეორე ისევ სდუმდა.

— შენ?

რა?

— არა! ორფეხი ცხოველი, ადამიანს რომ უძახიან—ის კი.

— გითქვამ ტყუილი?

— ტყუილი არა! უხეშ სინამდვილეს რომ აფერადებდა, და ლამაზ ოცნებათ ხდიდა, ისეთი კი... ბევრი.

— გიმრუშია?

— არა არსებათ კი გარდავქმნილვართ, და ერთმანეთის ცეცხლის ალში კი დავმწვარვართ!

— გიგმია ღმერთი?

— არა! ის ძალა კი, ადამიანს რომ უკუღმართ გზაზე დააყენებს, სიცოცხლეს გაუმწარებს—ის კი ხშირათ

— თაყვანს სცემდი ჩემს გარდა სხვა ღმერთს?

— ერთ ღმერთს თაყვანსა ვცემდი- ღმერთს სიყვარულისას, იმედისას, შვენიერებისას.

ყველა დადუმდა.

— რა გსურთ ეხლა? -დაარღვია ღმერთმა სიჩუმე.

— განსვენება ადგილსა ყვავილოვანსა!—საჩქაროთ უპასუხა პირველმა.

მეორე სდუმდა.

— შენ?

— ნუ მათქმევინებ— გარისხდები, უფალო!

— მოგვენიშოს! -ბძანა უფალმა და გულთამხილავის უცვლელმა, მკაცრმა სახემ ნისლი გადიყარა.

მდუმარე ადამიანის წინ გაჩნდა მომდინარე, ვარდებით შემკული, ლამაზი ქალწული. მას ნექტარით სავსე პატარა თასი ეჭირა ხელში. შორიდან კი ისმოდა ქნარის ხმა.

— მე რაღა, უფალო? შეეკითხა პირველი ადამიანი ღმერთს.

— შენ ჯერ არ გიცხოვრია:—შენ ჩემს არტახანში იყავ გაკრული. პირადათ შენ, რისი მომქმედი ხარ,—არ ვიცი. იქნებ ყოვლად ცუდი და საზიზღარი იყო, და როგორ დაგაჯილდოვო?! წადი ისევ ქვეყნად.

ნ. ლორთქიფანიძე.

უცნაური წუთები ნატარებისა.

ჯ. ჯორჯიკია.

ქალს მეტათ რთული ხასიათი აქვს. მის არსებაში ყოველთვის არის რაღაც გამოურკვეველი, უცნაური ძალა. ასეთი თვისება ჩემს სატრფოს ხასიადშიდაც ხშირათ ჯოჯოხეთურ ძლიერებით იშლებოდა ხოლმე.

ერთხელ მის საწოლ ოთახში ვიყავი წამოწოლილი, ის იქვე იჯდა და რაღაცაზე მელაპარაკებოდა.

მე კი მის სახეს ჩავსცქეროდი: სარკმელიდან მომავალი სინათლე ქალის თეთრს ლოყებს, მაღალ ბელს და ცის ფერს თვალებს თეთრი მარამარილოს ელვარებას აძლევდა. მთელის მის გამომეტყველობას გადაკროდა თხელი ნისლი დაღლილობისა, რაც ამ წუთში მას მეტს სინაზეს და მიმზიდველობას გვრიდა.

ის იყო მის ეშხიანს ტუჩს დავეკონე, თითონაც ხელი გადამხვია, რომ მივსცემოდით იმ ძარღვის ამშლელ ხორცის ლოთობას, რომელსაც ხშირათ ვეძლეოდით ხოლმე.

უცებ მეზობელ ოთახში ფეხის ხმა გაისმა.

— ჩემი ქმარი! წაიბუტბუტა ქალმა.

— დავიღუპეთ! ვსთქვი მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩუმათ, მითხრა ქალმა და ერთს წუთს ოთახიდან გაქრა.

გული საოცრათ მიცემდა. ფერი წამივიდა.

ყოველ წამს მოველოდი საშინელ შეხვედრას იმ ადამიანთან, რომლის ბედნიერებით ასე ქურდულათ ვსარგებლობდი.

— ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და ოთახში ქალი შემოვიდა.

— გადავრჩით? —დავეკითხე მას.

— ხსს! ჩუმათ, იგი აგერ მეზობელ ოთახში მაგიდას უსის და სწერს... მოდი, მოდი ჩემო ოცნება და გადამეხვიე... მითხრა ქალმა და ჩემსკენ მოიწია.

— როგორ? რას ამბობ? ახლა? ხომ არ გაგიჟდი!..

— ახლა, დიახ, ახლა. მე მსურს, გესმის, მე მინდა, რომ ამ წუთს, როდესაც ჩემი ქმარი ასე ახლო იმყოფება, შენთან ვიყო... ჰო, ეს ჩემთვის უდიადესი ნეტარება იქნება!... მე ამაზე უტკბესი ნეტარება არა წარმომიდგენია რა!!. თუმცა საფრთხე ისე ახლოა, რომ თვალის ქუთუთოს ეხება, სიკვდილი ჩემგან სულ რამდენიმე ნაბიჯზეა, მე კი ახლა, დიახ ახლა მსურს სიყვარულის გიჟურ სინამდვილეს გავყვე... მაკოცე... გესმის თუ არა, მაკოცე... მაკოცე...

ქალს სახე გაფითრებოდა. იგი რაღაც სატანურ ძალას დაეფლო და ჯოჯოხეთის საშინელ ნექტარს დაეთრო.

— დამშვიდდი თუ გიყვარდე, განა არ ხედავ თუ რა საშინელი მდგომარეობაში ვართ...

— ოჰ! არა! ახლავე გადამეხვიე... ან ახლა და ან არაოდეს! ძლივს წამოიძახა ქალმა. ტანი ისე უკახკახებდა თითქოს ელექტრონის ტალღების ზე-გავლენას განიცდისო, თვალები ოდნავ ჭოლდა გაღებული და პატარა ტუჩებიდან თეთრი კბილები ბროლივით ელავდა.

ვხედავდი რომ მცირე ყოყმანი ორივეს დამლუპავია, ჩემში ყველაფერს კაცურს ვძლიე, ქალს ხელი მაგრა დავავლე და ორივემ თავი მივეცით ნეტარების უცნაურ წუთებს.



7 ივნისი.

ნაზარეველი ოლიპზე.

მაქს კლინგერის ქანდაკზე.

...და ღმერთების მეჯლისში წამს სიჩუმე ჩამოვარდა როდესაც იესომ მათ სამყოფში კრძალვით, თავის ეკლით დასერილი ფეხი შეადგა.

ძველსმა თავისი შარავანდით გაცისკროვნებული თავი მაღლა ასწია.

წარბები გაკვირვების ნიშნად დაეხარა.

„აქ რა უნდოდა ნაზარეველს, კაცს ღმერთთა შორის?“

და აღშფოთებისგან ნეკტრით აღსავსე თასი აიღო ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგა.

ერთ წამს თითქმის მარმალილოს ღრუბელები შეირყა, შეტორტმანდა მის ფეხ ქვეშ.

აფროდიტეს—ტუჩების კუთხეებში, ზიზღით ნარევმა ღიმმა გადურბინა.

სწორედ ისე როგორც მოვერცხლულ, მოკაშკაშებულ ცის თაღზე პაწია ღრუბლის ნაჭერი გადაიარს.

მუქი ღრუბლის ნაფლეთი.

„საცოდავი ებრაელი“ გაუელვა მას თავში, როცა ნაზარეველმა თავისი მიმქრალი, ტანჯვისგან ოდნავ ჩაფერული თვალები ირგვლივ ეყოფალ ებ ბის პურპურ გადასმულ სახეებს მიმოავლო.

ბახუსის ქაწის ფერი ბაგე უზრუნველმა ღიმმ, გაბლიჩა.

მაგრამ ერთ წამს მის სისხლიან შუბლს თვალი ვერ მოსწყვიტა. სავსე თასისაკენ გაწვდილი ხელი ანგარიშ მიუცემლად გაჩერდა--და წითელი ღვინო სუფრაზე გადმოიღვარა.

„საცოდავი ებრაელი“,

კიდევ გაიფიქრა ავროდიტემ და აქამდი შეუმჩნეველი ღიმილი უკვე ხმა მაღალ სიცილათ შეიცვალა.

აფროდიტა იცინოდა.

იმ გვარი სიცილით შეუძლია ქალს მხოლოდ მაშინ გაიცინოს, როცა იგი მამა კაცს,—შებრალების თვალებით გადმოხედავს. ზიზღ ნარევ შებრალების.

სიჩუმე.

თასების მხიარული წკრიალი.

კვლავ შეკავებული სიცილი.

იესოს სახეზე კი, იგივე აუმღვრეველი სიმშვიდე, იგივე კრძალვით მოსილი ფერნაკლულობა.

ყველა იცინოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ფსიხეა მის ფერხთით განენთხო. ფსიხეა ჰრილობებს უკოცნიდა.

მის ბაგის შეხებიდან წყლულებზე სისხლი მოწვეთავდა.

პეტრე მოციქული კი, რომელიც იესოს აქამდი მოყოლოდა და შიგ შესვლა ვერ გაბედა კარებთან ატუზულიყო სმენად ქცეული. ცალკე გაკვირვებისა და ცალკე სირცხვილისგან საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიეტანა და საკუთარ თითს კბენდა — იგი უყურებდა მას აგრე აღუშფოთველს—უკვირდა—სირცხვილისგან იწვოდა. იმ წამს კარზე მდგარ მოციქულს ეჩვენებოდა რომ მისი მოძღვრის სისხლი ძლიერ მიაგავდა იმ წითელ ღვინოს, რომელიც ამას წინად ბახუს სუფრაზე დაექცა. ბახუსი ახლაც დასჩერებოდა იმ დაქცეულ სასმელს. „ნეტავ ვის რა ენაღვლება უფრო, ფიქრობდა პეტრე, ადამიანებს ნაზარეველის სისხლი თუ, ბახუს დაქცეული ღვინო? ნეტავ?

კ. აბაშისპირელი.

სულნი ერთმანეთს ელტვიან მაგრამ ძებნაში იღუპებიან.

დია ჩიანელი.

(ლეგენდა).

მგოსანი განმარტოებით ზღვის პირას უმაღლეს კლდეზე ატარებდა თავის საუკეთესო წამებს. რა პირველი ნიავი შუა დღის შემდეგ გადმოიქროლებდა მთის თხემის ერთს გორაკზე, სადაც იგი ცხოვრებდა—მგოსანი ჩანგს ხელს მოკიდებდა; გულს ჩაიკრავდა ნიავის ლოცვას, მისი ბუტბუტით სევდის საკრავის სიმებს დაბერავდა და ნელის ნაბიჯით საყვარელ კლდეზე აცოცდებოდა...

გადადგებოდა პატალო ქვაზე მჯდომი, და ნაღვლიანათ აკვნესებდა ჩანგს. ქვეშ ზღვა ნელა დუდუნებდა, ხან კი გულმოსული ბრაზათ სიპ კლდეს ეხეთქებოდა. მგოსანი კი სევდიანი აჟღერებდა სევდის საკრავს, მგოსანი კი სისხლით, და ცეცხლით შექმნილ ლექსებს ამღერებდა და ზღვის ტალღებს გულში აწნიდა.. პირველი მისი ამონაკვნესი, როცა პიტალო კლდეზე ავიდოდა—თვისი ცხოვრების პირველი კარი იყო, რომელიც მისთვის დასაწყისიც იყო და დასასრულიც—აქ იგი მოსთქვამდა, თუ როგორ იზრდებოდა იგი სასახლეში, როგორ თამაშობდენ ერთათ იგი და მშვენიერი მისი ტოლი მეფის ასული, როგორ გაიზარდენ და ერთმანეთს, დააშორეს, მაგრამ მას მაინც გულში ქონდა ასულის უკვდავი ხატება... ბოლს, როგორ შეიქმნა იგი მგოსანი, როგორ ალტაცებაში მოყავდა ყველა. დასასრულ როცა მეფის ასული პირველათ ნადიმში გამოვიდა, რა მომხიბლავათა და ჯადოსნურათ ააჟღერა ჩანგი და დაუსწრებელი ალტაცება გამოიწვია, მაგრამ—აქ მისი ხმა—ტირილათ შეცვლებოდა, რადგან აქ მოთხრობილი იყო, როგორ მოინდომა მეფემ მისი კარის მგოსნათ აყვანა, რომ თვისი ჩანგის ჟღერით მეფე—დიდებულნი დაეტკბო; დიახ, ეს მოინდომა მეფემ და სათუთმა და ამაყმა სულმა ეს ვერ აიტანა—და მოშორდა სასახლეს. მოშორდა სასახლეს, მოშორდა დიდებულებს—რადგან არ გასცვალა წმინდა აღფრთოვანება—კარის მგოსნობაში, არ გასცვალა თავისუფლება—მეფის ბრძანებაში—მეფის პატივში. მოშორდა სასახლეს და მეფის ასულის სიყვარულით გულ დაკოდილი მთაში გაიჭრა.

არავინ არ იცოდა თუ სად სცხოვრებდა მგოსანი, მხოლოდ ხანდახან როცა რომელიმე გემი გაისრიალებდა იმ მიუვალ კლდის პირას, სადაც მგოსანი ჩანგს აჟღერებდა მეზღვაურები გაიგონებდენ ღვთიურ ხმას, სმენათ იქცეოდენ და კვირობდენ.

2.

ერთხელ იმ გემმაც გაიარა, რომელშიც ახლათ გათხოვილი მეფის ქალი იჯდა—მწარე დაღონებული, ფიქრში წასული მშვენიერი უეცრად გამოერკვა—მას მოესმა ტკბილი ხმა—რომელიც სევდის ძაფებით იყო მოქსოვილი, ყური მიუგდო. შეკრთა იცნო.

— ეს ის მომღერალია, რომელიც ჩვენი სასახლიდან გადიკარგა. ეს ის მგოსანია, რომელმაც არ მოინდომა კარის მგოსანი გამხდარიყო. ჩაფიქრდა ნეტავ რათ წავიდა ჩვენგან, ალბათ კარგათ არ დააჯილდოვეს, ალბათ პატივით ვერ მოეპყრენ!

გემი მისრიალებდა, კლდეს მოშორდა. მგოსნის სევდიანი ხმა კი კიდევ ისმოდა..

მეფის ქალი რადაც ტკბილმა ჟრუანტელმა შეიპყრო და მოინდომა როცა თავის ქმართან მივიდოდა იმ მგოსნის სასახლეში დაბარება. დაბრუნებისას კაცები აფრინა—მაგრამ ამაო იყო მათი ძებნა—მათ ვერ იპოვეს სევდის მგოსანი.

მეორეთ გააგზავნა მეფის ასულმა მოციქულები—მაგრამ ამაო იყო მისი სურვილი, თუმც იპოვეს იგი—მაგრამ განა შეეძლო ღვთიური ძალით აღფრთოვანებულს, სევდისა და ტანჯვის ცეცხლით აღგზნებულ მგოსანს მოშორებოდა სიპ კლდეს—მქუხარ ზღვის ტალღებს და წმინდა თავისუფლება, ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღი აფრთოვანება მეფის ასულის—პატივში გაეცალა? არა! და იგიც იქვე დარჩა.

მაგრამ არ ისვენებდა მეფის ასული—იგი მგოსნის მოგონებით სცხოვრებდა, მასზე ოცნებობდა, მისი ტკბილი და მწუხარებით სავსე ხმა—ყურებში ჩაწოოდა და თვისკენ იწვევდა. ბოლოს ვეღარ აიტანა და როცა ნაზი მთვარე ამოცურდებოდა ხოლმე—ერთგული მხლებლებით მეფის ასული სასახლიდან აჩრდილივით გამოსცურდებოდა და ობოლი ნავით ზღვის ტალღებში შესცურდებოდა სანატრელ კლდისკენ ოლტვოდა, რომ შორით ესმინა უცნაური მგოსნის ჰანგები.

3.

მთვარე კაშკაშებს. ზღვა ნელა თრთოლავს—კენესის, ბუტბუტებს—და მგოსნის საყვარელ კლდეს ნელა კოცნის, გულს იკრავს. მგოსანი კი ქვაზე მჯდომი ნაზათ აკენესებს ჩანგს. იგი დამღერის თავის ობლობას, ჩაკენესის მეფის ასულით დამწვარ გულის საიდუმლოებას:

— მეფის ასული, დამღერის ჩანგს, მართალია შენი სიყვარულით კრთის იგი და იწვება, მაგრამ ვერა, ვერ მოვალ შენთან სასახლეში, რომ შენი კარის მგოსანი გავხდე, რომ მეფის ბრძანებით მე ჩანგს ვაჟღერებდე, რომ დიდებულების ქეიფზე მე ლექსებს ვქმნიდე, ვერა მეფის ასულო—დიდი მეფის მეუღლევ, ვერ მოვალ მე სასახლეში!

— მე ამაყი ვარ—ჩემი ჩანგი არაა შვების საკრავი. მე თვით არა ვარ შვების მგოსანი, რომ ჩემი ხმითა და ლექსებით ყველა დატკბეს! არა მეფის ასულო, ვერ მოვალ სასახლეში! არ მინდა მე პატივი, ოქრო-ვერცხლი, მე მინდა მხოლოდ თავისუფლება. შენ, შენ მოდი ჩემთან მეფის ასულო, თუ გინდა გაიგონო ჩემი სევდის ჰანგი, შენ, შენ მოდი და მე შენი სიყვარულით მიბნედილი—დავიჩოქებ და გიმღერ ჩემი გულის მოთქმას, ჩემი სულის ტანჯვას. მოდი, მოდი, მეფის ასულო!

გაიგონა ეს მომჯადოებელი—ტანჯვით შექმნილი სიმღერა ნავსა შინა მჯდომმა მეფის ასულმა და ბრაზმა შეიპყრო

— როგორ მე რომ მივიდე მასთან? არადროს! ნავი გაბრუნა. მაგრამ ჩაფიქრდა: რათ გაუჯავრდა თავის თავს, განა იგი მეფის ასული—მეფის მეუღლე, მშვენიერი დედოფალი არ იყო კლდის ძირას და მგოსნის სიმღერას არ ისმენდა? მაშ რათ ბრაზდება. თვითონაც ვერ მიხვდა. გულმა ცემა დაუწყო. უცებ გრგვინვა მოისმა, მთვარე ღრუბელმა დაფარა. დედოფალი ფიქრშია წასული, მისთვის არაფერი აღარ არსებობს, მას სურს, მხოლოდ კიდევ მოისმინოს მგოსნის სევდიანი სიმღერა.

— კლდისკენ. გასცა ბრძანება.

— ზღვა ღელავს, დედოფალო, შეუძლებელია!

— კლდისკენ. მას მეტი აღარაფერი ესმოდა... მიუახლოვდა. ზღვა ბობოქრებდა. ღრიალებდა. მოისმა მგოსნის სიმღერა.

— მოვედი, მოვედი მგოსანო, გაისმა ზღვის ქუხილთან მეფის ასულის ამოძახილი, მაგრამ მისი ხმა მოიტაცა შორით მონაბერმა ქარიშხალმა და ზუზუნით ზღვის შუა გულს ჩაკალა.

— მოდი, მოდი მეფის ასულო, ისმოდა მგოსნის სიმღერა და ჩანგის ბოღმიანი გამოძახილი.

— მოვედი. ცაზე დაიგრიალა, გაიკვესა. ქარიშხალმა მეტის სიძლიერით აამთაგორა ტალღები, მოიტაცა ობოლი ნავი და კლდეს მიარეხა.

— მოდი, მოდი.—ჩაესმა ასულს ყურში, იმ დროს, როცა კლდეს ტალღამ საშინელი სიძლიერით მიარტყა.

—მოვ... ეს ღა მოასწრო და მქშინავმა ტალღამ სამუდამოთ შთანთქა მისი სიყვარულით სავსე გვამი.

4.

ზღვა ბობოქრობდა. ცა კვესდა, ღრუბლები გრიალებდა. მგოსანი პიტალო ქვაზე მდგომი სტი ქიონთა ტანჯვას ყურს უგდებდა და თვითონაც იტანჯებოდა. უცებ იგი რაღაც გიჟურმა აღფრთოვანებამ შეიპყრო, ზღვას დაეშტერდა—აღელდა. ცამ იკვესა. ზღვას თვალი მოაცლო. მან ზღვის ტალღებში მომღიმარი მეფის ასული დაინახა, რომელიც თვისკენ იწვევდა. წამი. და უკანასკნელათ გაკრა თითები სიმებს და მწვერვალიდან ზღვაში გადაეშო.

უკანასკნელათ გააჟრჟოლა ზღვას; უკანასკნელათ დაიკვესა ცამ და ღრუბლები ერთათ შეკუმშა. მთვარემ გამოანათა. ზღვაც თითქო ამ სხვერპლს უცდიდა დაწყნარდა...

შორს ზღვაში გადაბრუნებული ნავი დასცურავდა. ქვიშოვან ნაპირზე კი ორი გვამი ერთმანეთს თითქო ჩაკვროდენ. ისინი ზღვამ გამოაგდო; მათ მთვარე ხარბათ დასცქეროდა და თავის სხივებში ბანდა.

და ჩანდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელეაზარი

ლეონიდ ანდრეევიდან.

ტ. ტაბიძე.

IV.

ამ დროს ცხოვრობდა რომში ერთი დიდებული მოქანდაკე. მარმარილოსა, თიხასა და ბრინჯაოსგან ის ქმნიდა ღმერთებისა და ადამიანთა ტანს და ისე ღვთაებრივი იყო სილამაზე მათი, რომ ხალხმა მას უკვდავი დაარქვა. მაგრამ მოქანდაკე მაინც უკმაყოფილო იყო და ამტკიცებდა, რომ არის რაღაც ჭეშმარიტად ყველაფერზე ულამაზესი, რომელიც არ შეუძლია მას გადაიტანოს მარმარილოსა და ბრინჯაოზე. კიდევ ვერ შემიკრებია მე მთვარის სხივები, კიდევ ვერ დამთვრალვარ მე მზის სხივებით და არ არის ჩემ მარმარილოზე სული, არ არის სიცოცხლე ჩემ ლამაზ ბრინჯაოზე. და როცა მთვარიან ღამეში ის მიდიოდა გზაზე და გადაჭრიდა შავ ჩრდილოებს კიპარისთა, შეხვედრილნი მას მეგობრულად გაუცინებდენ და ეტყოდენ.

— მთვარის სხივები, ხომ არ გინდა შეკრიბო არკელიუსს?

— რაისთვის არ წამოიღე თან კალათა?

და ისიც სიცილით ეუბნებოდა, უჩვენებდა რა თავის თვალებზე.

— აი ჩემი კალათები, სადაც ვკრებ მე მთვარის სხივებს და მზის ბრწყინვას.

წარმოსდგებოდა ის ძველი პატრიციების გვარიდან, ყავდა კეთილი ცოლი, ლამაზი ბავშები და არაფერში არ გრძნობდა დანაკლისს. როცა მოვიდა რომში ამბავი ელიაზარზე, არკელიუსი მოელაპარაკა თავის ცოლს და მეგობრებს და გაემგზავრა შორეულ გზაზე იუდეიაში, რომ შეეხედა სასწაულით ამდგარისთვის.

ცოტა მოწყენილობას გრძნობდა ის ამ დღეებში, მაგრამ თანდათან იზრდებოდა გზაში ყურადღება და ცნობის მოყვარეობა.

რასაც მოუთხრობდენ ელიაზარზე, მას სულაც არ აშინებდა. ის ბევრს ფიქრობდა სიკვდილზე, არ უყვარდა სიკვდილი, მაგრამ არ უყვარდა არც ისინი, რომელნიც სიკვდილს სიცოცხლეში ურევენ. აქ მხარეზე მშვენიერი სიცოცხლე, იმ მხარეზე საიდუმლო სიკვდილი ფიქრობდა ის და არაფერი ამაზე კარგი არ შეუძლია ადამიანს გამოიგონოს, როგორც შეხაროდეს ამ მშვენიერ სიცოცხლეს და ის კიდეც ფიქრობდა გულში, რომ ამაში დაარწმუნებდა ელიაზარს და დაუბრუნებდა მის სულს სიცოცხლეს, როგორც დაბრუნებული იყო სხეული. მით უფრო შესაძლებელი ხდებოდა ეს, რომ ამბავი, რომელიც ელიაზარზე მიდიოდა მის ყურამდი, არ გამოსცემდა სრულ ჭეშმარიტებას და მხოლოდ აფრთხილებდენ რაღაც საშინელების წინ.

უკვე ადგა ქვიდან ელიაზარი, რომ გამოდგომოდა მზეს უდაბნოში, როცა მიუახლოვდა მას მდიდარი რომაელი, შეიარაღებული გონით და ხმამაღლა დაუძახა:

— ელეაზარ!

და შეხედა ელიაზარმა მშვენიერ და ამაყ სახეს, დიდებით გაბრწყინებულს, ნათელ ტანისამოსს, ძვირფას ქვებს, მზის ქვეშ რომ ბრწყინავდენ. წითელი სხივები მის თავს აძლევდენ ბრინჯაოს ფერს და ეს ელიაზარმა შეამჩნია. გაუგონა და დაჯდა ის თავის ალაგას და დაღლილი თვალები დაუშვა ძირს.

— შენ ულამაზო ხარ ჩემო საბრალო ელიაზარ, ამბობდა მშვიდად რომაელი და ათამაშებდა ოქროს ძეწკვს ხელებზე. შენ საშინელი ხარ ჩემო მეგობარო კიდეც. და სიკვდილი არ ყოფილა ზარმაცი იმ დღეს, როცა შენ იმას ჩავარდნიხარ ხელში, მაგრამ შენ სხვილი ხარ, როგორც გუდა და ამისთანა ხალხი არას დროს არ არიან ბოროტი ასე ამბობდა დიდებული კეისარი, და მე ვერ გამიგია რისთვის გიფრთხიან შენ ადამიანები.

მომცემ განა ნებას შენ სახლში გავათიო ღამე? უკვე დაღამდა და მე არ მაქვს თავშესაფარი.

ჯერ არავის არ უთხოვია ელიაზარისთვის ღამის გათევა.

— მე არა მაქვს საწოლი, მიუგო მან.

მე რამდენამდე მხედარი ვარ და შემიძლია მჯდომარემ ვიძინო მიუგო რომაელმა, ჩვენ ავანთებთ ცეცხლს.

— მე არა მაქვს ცეცხლი.

მაშინ ბნელაში, როგორც ორი მეგობარი ჩვენ გავაბათ საუბარი, შენ უთუოდ მოგეძებნება სადმე ცოტა ღვინო.

— მე არა მაქვს ღვინო.

რომაელს გაეცინა.

— აი ეხლა მესმის რისთვის ხარ შენ ასე მწუხარე და არ გიყვარს მეორე სიცოცხლე. არ არის ღვინო, რა უნდა ვქნათ დავრჩეთ ასე, ხომ არის სიტყვა, რომელიც აბრუებს თავს როგორც თალეონის ღვინო.

ანიშნა ხელით და გაუშვა მონა და ისინი დარჩენ ორი ერთად, ხელახლა ალაპარაკდა მოქანდაკე და თითქო ჩამავალ მზესავით მიდიოდა მისი სიტყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან სიცოცხლე და დაკარიელდენ სიტყვები გაუფერულდენ, თითქო ირყეოდენ უძღური ფეხებზე, თითქო იქცეოდენ მთვრალი სვედის და სასოწარკვეთილების ღვინო.

— ეხლა შენი სტუმარი ვარ, და არ დაგტოვებ ასე ელიაზარ, ამბობდა ის, სტუმართმოყვარეობა სავალდებულოა მისთვისაც, ვინც საფლავშიაც იყო სამი დღე. რხ! როგორ ბნელა, და საიდან გამოიტანე შენ ეს ჩვეულება უღვინოთ და უცეცხლოთ გაძღების. მე მიყვარს ცეცხლი, აქ როგორ მაღე ბნელდება, შენ მართლა საინტერესო ხაზები გაქვს წარბებსა და შუბლზე, თითქო ფერფლით დამარხული ნანგრევებია სასახლეთა მიწის ძვრის შემდეგ? მაგრამ რისთვის ხარ შენ ახირებული და ულაზაზო ტანისამოსში. მე მინახავს საქმრონი თქვენ მხარეში და ისინი ატარებენ ამნარ ტანისამოსს. რა სასაცილო ტანისამოსია, რა საშინელი ტანისამოსია.

— მაგრამ შენ საქმრო ხარ?

უკვე დაიმალა მზე და შავი გოლიათი ჩრდილი გამოიქცა აღმოსავლეთიდან, თითქო ვეებერთელა შიშველმა ფეხებმა დაიწყეს სიღიზე ხრაშუნი, და ჩქარი სირბილის ქროლვამ ზურგში სიცივეთ შეიქროლა.

— ბნელაში შენ უფრო დიდი მოჩანხარ ჩემო ელიაზარ! შენ თითქო გასუქდი ამ რამდენიმე წამში, მართლა ხომ არ იკვებები შენ წყდიადით?... მე კი მინდოდა ცეცხლი, თუნდა პატარა ცეცხლი, მე მცივა რაღაც, თქვენში ბარბაროსული ცივი ღამეები ცოდნია... რომ ასე ბნელი არ ყოფილიყო მე შენ გეტყოდი, რომ მიცქერი მე ელიაზარ, დიახ, მგონია შენ მიცქერი... ხომ მართალია, მე ვგრძნობ რომ შენ იღიმები.

ღამე მოვიდა და მძიმე სიშავით გაიჟღინთა ჰაერი.

— აი კარგი ის იქნება ხვალ, რომ ამოვა მზე. შენ უთუოდ იცი, რომ მე დიდებული მოქანდაკე ვარ, როგორც მეძახიან მეგობრები. მე ვქმნი, დიახ, ამას ქვია შექმნა. მაგრამ ამისთვის დღეა საჭირო. ცივ მარმარილოს მე ვაძლევ სიცოცხლეს, მე ცეცხლს უდებ მრეკავ ბრინჯაოს... რისთვის შემახე შენ ხელი?..

— წავიდეთ, უთხრა ელიაზარმა, შენ ჩემი სტუმარი ხარ. და ისინი წავიდენ სახლში და გძელი ღამე დაიწყა მიწას. მონამ ბევრი უცადა ბატონს, შემდეგ კი მივიდა მასთან, როცა მაღლა იდგა მზე. და შეხედა პირდაპირ, დამწველ სხივთა ქვეშ იჯდენ ერთი მეორესთან ელიაზარი და მისი ბატონი, იცქირებოდენ ზევით და სდუმდენ. ატირდა მონა და ხმა მაღლა დაიყვირა.

— ბატონო ჩემო, რას ვხედავ ამას? ბატონო, რა დაგმართიათ? - იმ დღესვე ის დაბრუნდა რომში. მთელი გზა ავრელაუსი დაფიქრებული იყო და სდუმდა. ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს ხალხს, ხომალდს, ზღვას, თითქო სცდილობდა დამახსოვრებას. ზღვაში მათ ძლიერი ქარიშხალი წამოეწიათ და მთელი ეს დრო ავრელიუსი იმყოფებოდა ბაქანზე და გაუმაძღრად ათვალიერებდა მოზღვავებულ ტალღებს. სახლში შეშინდენ რა შეამჩნიეს საშინელი გამოცვლა მოქანდაკეს, მაგრამ მან დაამშვიდა სახლობა, დიდნინშვნელოვანად სთქვა:

— მე ვნახე.

და იმ ჭუჭყიან ტანისამოსით, რომელიც მას არ გამოუცვლია მგზავრობაში, ის შეუდგა მუშაობას და მორჩილად დაიწყრიალა მარმარილომ ჩაქუჩის დაკრაზე. დიდხანს, გაუმაძღრად მუშაობდა ის, არავის არ უშვებდა ოთახში და ბოლოს ერთ დღეს სთქვა, რომ ნაწარმოები უკვე გაათავა. და უბრძანა შეეკრიბათ მეგობრები, დამფასებელნი და მცოდნენი ხელოვნებისა... და უცდიდა ის მათ მშვენიერ და ბრწყინვალე ტანისამოსში, გამოწყობილი ოქროთი და მეწარელით.

— აი რა შევქმენი სთქვა მან დაფიქრებით.

შეხედეს მეგობრებმა და ორმა მწუხარების ჩრდილმა დაფარა მისი სახე.

ეს იყო რაღაც სახიზღარი, რომელსაც არ ჰქონდა არც ერთი თვალისთვის ნაცნობი ფორმა. მაგრამ არ იყო მოკლებული რაღაც ახალ, უცნობ ხატებაზე ნასახს. წვრილ და მრუდე ტოტზე ანუ მის მომსგავსებაზე მრულად და ახირებულად იდვა ბრმა ველური ნამტვრევები ქვისა, რომელნიც ულონოდ სცდილობდენ თავისთავიდან წასვლას. შემოხვევით ერთ ამისთანა ველურად მყვირალა ადგილთან შეამჩნიეს მშვენივრად გამოქანდაკებული პეპელა, გაკვირვალე ფრთებით, თითქო მთრთოლვარენი ფრენის ულონო ნდომიდან.

—რატომ არის ეს საკვირველი პეპელა? გაუბედავად ჰკითხა ვიღაცამ.

— არ ვიცი—უპასუხა მოქანდაკემ.

— ეს სიძაგელი რამაა, საბრალო მეგობარო, მომეცით ჩაქუჩი!

და ორი დარტყმით მან დაამსხვრია ქანდაკი, დატოვა მარტო გამოქანდაკებული საკვირველი პეპელა.

ამის შემდეგ არაფერი არ შეუქმნია ავლერიუს! გულგრილად უცქეროდა ეხლა ის მარმალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსა და ბრინჯაოს და თავის უწინდელ ღვთაებრივ ქმნილებათ, რომლებზედაც განისვენებდა უკვდავი სილამაზე. ცდილობდენ — აღეძრათ მასში შემოქმედებით ძალა, დაჰყავდათ — რომ დაეკვირვებინათ სხვის მშვენიერ ნაწარმოებთათვის, მაგრამ ის მალეც გულგრილად უცქეროდა ყველაფერს და ღიმილიც კი არ ათბობდა მის დაღვრემილ სახეს. როცა მას დიდხანს და ბევრს ესაუბრებოდენ სილამაზეზე ის, დაღლილი, ცივად უპასუხებდა.

— მაგრამ ყველა ეს ხომ სიცრუეა დღით, როცა მზე ანათებდა ის გადავიდოდა თავის ხელოვნურად მორთულ ბაღში და მონახავდა რა იმ ადგილს, სადაც არ იყო ჩრდილი, დაუხურელ ტიტველ თავს და მღვთის თვალებს გაუჩერებდა სიცხეს და ბრწყინვას. დაჰფრინავდენ წითელი და თეთრი პეპლები, მარმალილოს წყლის ამოსაღებიდან მოჩუხჩუხებდა წყალი — ნეტარად მთვრალი სატირის მრუდე ბაგეთაგან. ის კი იჯდა განუძრევლად, როგორც მკრთალი ჩრდილი მისი, ვინც კი ბარმა სივრცეში, თვით უდაბნოს კლდოვან ბეესთან განუძრევლად იწვა პაპანება მზის ქვეშ

V.

და აი, მიიხმო თავისთან ელეაზარი თვითონ დიდებულმა, ღვთაებრივმა ავგუსტმა. ჩააცვეს ელეაზარს ისევ სადღესასწაულო, საქორწინო ტანისამოსი, თითქო ჟამმა დააკანონა, რომ თვით მეორე სიკვდილამდე ყოფილიყო ის საქმარო უცნობი სარძლოსი. გავდა იმას, თითქო ძველი, დამპალი კუბო ისევ მოევარაყებინათ ოქროთი და ახალი ფარჩით შეემოსათ და მიჰყვებოდენ მას სადღესასწაულო გამოწყობილნი, თითქო მართლა მიდიოდა ქორწილის პროცესია და წინამძღვარნი ხმამაღლა აყვირებდენ საყვირთ, რომ მიეცათ გზა იმპერატორის გამოგზავნილთათვის, მაგრამ უდაბური იყო გზები ელეაზარისა.

მთელი სამშობლო მხარე სწყევლიდა სასწაულით ამდგარისას, და დაფრთხა და გაიქცა ხალხი მარტო გაგონებაზე ელეაზარის მოახლოვებისა. მაინც ყვიროდენ ტყვიის საყვირები და მარტო უდაბნო უპასუხებდა თსვის გამოძახილით.

შემდეგ წაიყვანეს ზღვით. და ეს იყო ყველაზე უფრო მწუხარე ხომალდი, რომელიც ოდესმე მიდიოდა ხმელთა შუა ზღვის ტალღებზე. ბევრი ხალხი მიდიოდა ამ ხომალდით, მაგრამ როგორც საფლავი იყო ის მშვიდი და მდუმარე, თითქო სტიროდა წყალი უიმედოთ. მარტოდ-მარტო იჯდა ელეაზარი და მიეშვირა თავი მზისთვის, ყურს უგდებდა ზვირთის დუდუნს და სდუმდა. შორს კი, როგორც მწუხარე ჩრდილთა გროვა უღონოდ იწვენ მეზღვაურები. ამ დროს რომ მეხი გავარდნილიყო უეცრად, ქარიშხალს წითელი აფრა დაეწწა — უთუოდ დაიღუპებოდენ ყველანი, რადგან არც ერთს მათგანს — არ ჰქონდა ღონე და ნდობა სიცოცხლისათვის ბრძოლისა. გულგრილად შევიდა ელეაზარი უკვდავ ქალაქის ქუჩებში. თითქო მთელი სიმდიდრე მისი, შენობათა საკვირველება, ბუმბერაზივით, რომ ცაში ეზიდებოდენ, მთელი სილამაზე და მუსიკა სიცოცხლისა, იყო მხოლოდ გამოძახილი ქარიშხლისა უდაბნოში და მკრთალი სხივი გახურებულ სილისა. მიქროდა ეტლები, მიდიოდა გროვა ძლიერი ლამაზი და კადნიერი ადამიანების, უკვდავ ქალაქის ამშენებელთა და მისი ცხოვრების ამაყ მონაწილეთა. ისმოდა სიმღერა — იცინოდენ შადრევანები და ქალები თავის მარგალიტი სიცილით, ფილოსოფოსობდენ მთვრალნი, ღიმილით პირზე უსმენდენ მათ ფხიზელნი და ნალები რეკდენ ქუჩებზე, რა ჩაეცემოდნენ ქვებს. ყოველ მხრივ მხიარულ ხმაურობით შემორტყმული, ცივი დუმილის დაღით დადიოდა მძიმე, მოღრუბლული ადამიანი და თესავდა თავის გზაზე რისხვას და ჯანყიან მწველ სევდას. ვის შეუძლია იყოს მწუხარე რომში? — გული მოდიოდათ მოქალაქეთ და ორი დღის შემდეგ მთელმა რომმა იცოდა ამბავი სასწაულით ამდგარისა და შიშით უფრთხოდა მას. მაგრამ იყვნენ ისეთი გულ-მაგარი ადამიანებიც, რომელთაც სურდათ გამოეცადათ თავიანთი ძალა და მათ დაუფიქრებელ ძახილზე მორჩილად მიდიოდა ელეაზარი სახელმწიფო საქმეებით დატვირთული იმპერატორი აგვიანებდა მიღებას და მთელი შვიდი დღე დადიოდა რომში სასწაულით ამდგარი. აი მოვიდა ელეაზარი მხიარულ ლოთთან და ლოთი წითელი ტუჩების სიცილით შეხვდა მას.

— დალიე, ელეაზარ, დალიე! აი ბევრს იცინებს ავგუსტი, როცა მთვრალს დაგინახავს.

და იცინოდნენ გატიტვლებულნი ლოთი დედაკაცები და ვარდის ფოთლები ეცემოდენ ელეაზარის ლურჯ ხელებზე. მაგრამ შეხედა ლოთმა თვალებში და საუკუნოდ გათავდა მისი მხიარულება. მთელი თავისი სიცოცხლე ის დარჩა ლოთად, უკვე ეხლა აღარ სვამდა, მაგრამ მაინც დარჩა ლოთად, მაგრამ მხიარულ ზმანებათი წილ საშინელი სიზმრები შეიქნენ ერთად ერთ საზრდოდ მისი სულისა. აი მივიდა ელეაზარი ჭაბუკთან და ქალწულთან, რომელთაც უყვარდათ ერთმანეთი და იყვენ მშვენიერი თავიანთ სიყვარულში ამპარტავნულად და მაგრად მოეხვია ხელები საყვარლისათვის და ჭაბუკმა სთქვა ჩუმი შეცოდებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეგვეხედე, ელეაზარ, იმხიარულე ჩვენთან, განა არის რამე სიყვარულზე ძლიერი?

შეხედა ელეაზარმა და მთელ სიცოცხლეში ისინი განაგრძობდენ ერთმანეთის სიყვარულს, მაგრამ მწუხარე და ბინდიანი შეიქნა მათი სიყვარული, როგორც საფლავზე ამოსული ყვავილები, რომელნიც ძირებს ასაზრდოებენ საფლავის გახრწნით და შავ მაღალ წვეროებით ამაოდ ეძებენ ცას ჩუმს საღამო ჟამს, უცნობი ძალა სიცოცხლისა მათ აგდებდათ ერთი მეორის წიაღში. მაგრამ მათი კოცნა ერთად ერთოდა ცრემლს, ტკბობა ტანჯვას და მონებად გრძნობდენ თავს: მორჩილ მონებად მთხრვნელ სიცოცხლის და უპასუხო მოსამსახურეებად მდუმარე **არარაისა**. მუდამ შეკრთებულნი, მუდამ გაყრილნი ისინი ინთებოდენ ნაპერწკალივით, და როგორც ნაპერწკალი ჰქრებოდენ უსაზღვრო წყვდიადში.

აი მივიდა ელეაზარი ამაყ ბრძენთან და ბრძენმა რქვა მას:

— მე უკვე ვიცი, ელეაზარ, რაც შეგიძლია შენ მითხრა საშინელი. რით შეგიძლია შენ კიდევ დამაშინო მე? მაგრამ გავიდა სულ ცოტა ხანი და იგრძნო ბრძენმა რომ ცოდნა საშინელის—არ არის კიდევ საშინელი, რომ სიკვდილის მოჩვენება—არ არის სიკვდილი. და იგრძნო მან რომ სიბრძნე და უმეცრება სულ ერთია უსაზღვროს წინაშე, რადგან არ იცის ისინი უსაზღვრობამ. და გაჰქარა საზღვარი ცოდნისა და უცოდინარობისა, ეშეშარიტებასა და სიცრუესა, სიმაღლესა და სიმდაბლეს და ჩამოწვა უსახო აზრი. მაშინ მოიკიდა მან ხელი ქაღარა თავზე და დაიყვირა.

— მე არ შემიძლია ფიქრი—ასე იღუპებოდა გულ-გრილ შეხედვის გავლენით სასწაულით ადგომილისა ყველფერი, რაც ემსახურება ცხოვრების დამყარებას. აზრს და ლხენას მისას. და დაიწყეს ფიქრი, რომ საშიშარია მისი შეშვება იმპერატორთან, სჯობს მისი მოკვლა და როცა ჩუმად დამარხავენ მერე იტყვიან, რომ დაიმალა ის სადღაც. უკვე ილესებოდა მახვილები და ხალხისთვის თავდადებულნი ყრმანი თავიანთ თავს ამზადებდენ მკვლელებად, როცა ავგუსტმა მოითხოვა, რომ დილას ეჩვენებიათ ელეაზარი. და ამით დაშალა სასტიკი პლანი. თუ არ შეიძლებოდა სულ გადაეყენებიათ ელეაზარი, მოინდომეს ცოტათ მაინც შეემსუბუქებიათ ბრალი. ბრალ-ბოლოს ეს ბრალი ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ინდომა დაყრდომოდა გარეშეთა მოხმარებას. პირისპირ, ერთი ერთან შეეყარა ის ელეაზარს.

--ნუ შემომხედავ შენი თვალებით, ელეაზარ, უბრძანა მან შემოსულს; გამიგონია, რომ შენი თავი მიაგავს მედუზის თავო და ქვად აქცევს ყველას, ვისაც კი შეხედავს. მე კი მინდა დაგხედო შენ და გელაპარაკო, სანამ ქვად გადავიქცეოდე დაუმატა მან მეფური ხუმრობით, რომელიც შიშს არ იყო მოვლებული, მივიდა ახლოს, ყურადღებით გაარჩია მისი სახე და უცნაური სადღესასწაულო ტანისამოსი და მოტყუვდა ხელოვნურად გაკეთებულით, თუმცა თვალი ქონდა მჭრელი და მახვილი.

--ასე, შესახედავად არა ხარ შენ საშინელი, პატივცემულო მოხუცო, მაგრამ მით უარესი ადამიანებისთვის, როდესაც საშინელი მიიღებს ასეთ სახეს ეხლა ვილაპარაკოთ.

ავგუსტი დაჯდა და ელაპარაკებოდა რა სახით იმდენს, რამდენსაც სიტყვებით და იწყო საუბარი:

—რისთვის არ მითხარი გამარჯვება, როცა შემოდი?

--მე არ ვიცოდი. რომ ეს იყო საჭირო!

—შენ ქრისტიანი ხარ?

—არა.

ავგუსტმა კმაყოფილებით დააქნია თავი.

—ეს კი კარგია. მე არ მიყვარს ქრისტიანები. ისინი არყევენ ცხოვრების ხეს არ აცლიან მას ნაყოფით დაფენას და ქარიშხალს ატანენ მის სურნელოვან ყვავილს. მაგრამ ვინ ხარ შენ?

ცოტა ძალდატანების შემდეგ ელეაზარმა უპასუხა:

—მე მკვდარი ვიყავი.

—ეგ გამიგონია, მაგრამ ვინ ხარ ეხლა შენ?

ელეაზარი აგვიანებდა პასუხს დაბოლოს გაიმეორა გულგრილად.

—მე მკვდარი ვიყავი.

—გაიგონე შენ, უცნობო, უთხრა იმპერატორმა, ჩემი სამეფოა ცოცხალთა, ჩემი ერი—ცოცხალთა და არა მკვდართა, და შენ აქ მეტი ხარ. მე არ ვიცი ვინ ხარ შენ, მე არ ვიცი შენ რა ნახე იქ,—მაგრამ თუ შენ სტყუი—მე მეზიზღება შენი ტყული, თუ შენ მართალს ამბობ—მე მძულს შენი სიმართლე, მე ჩემს გულში ვგრძნობ სიცოცხლის თრთოლვას და ჩემს ხელებში ძლიერებას. ამპარტავანი ფიქრები ჩემი, როგორც არწივები— სივრცეში დაფრენენ. იქ კი—ჩემს ზურგს უკან ჩემი უძლურის დაცვით და ჩემგან შედგენილი კანონების მეოხებით ცხოვრობს, შრომობს და მხიარულობს ხალხი. შენ გესმის ეს საკვირველი ჰარმონია სიცოცხლისა? შენ გესმის ეს საომარი ძახილი, რომელიც ადმიანს მიაწყვებს მომავალს და ითხოვს მას ბრძოლისათვის.

ავგუსტმა მლოცავივით აღაპყრო ხელი და სასოებით წაიოიძახა:

--იყავ კურთხეულ დიდებულო, ღვთაებრივო სიცოცხლევ!—მაგრამ ელეზარი სდუმდა და მომეტებული სისასტიკით განაგრძობდა იმპერატორი.

—შენ მეტი ხარ შენ. საცოდავი დანარჩენი ხარ სიკვდილისადგან შეუჭმელი, ადამიანებს გვრი სევდას და სიცოცხლის სიძულვილს. შენ როგორც ბობოლა მოზირო სჭამ მსუქან თავთავს სიხარულისას და ინთხევ ცრემლებს სასოწარკვეთილებისას და კიშნისას. შენი სიმართლე მიაგავს დაჟანგულ მახვილს ღამის მკვლელის ხელში, და როგორც მკვლელს მე შენ გადაგცემ სასჯელად. მაგრამ მანამდე მე მინდა ჩავიხედო შენს თვალებში. შესაძლებელია მარტო მშიშარებს ეშინათ მათი და მამაცებს უღვიძებენ წყურვილს ბრძენისას და ძლევისას, მაშინ სასჯელის კი არა, საჩუქრის ღირსი იქნები შენ, შემომხედე აბა მე, ელეაზარ!

პირველ წამში თითქო მეგობარი უყურებდას ისე ნაზი და წარმტაცი იყო შეხედვა ელეაზარისა. არა თუ საშინელებას, მშვიდობას პირდებოდა ის და ნაზ საყვარლად, შემცოდებელ დათ, დედათ ეჩვენა მას უბოლოო. მაგრამ თანდათან ძლიერდებოდა მისი კალთები და სუნთქვა გადაიქცა კოცნას მოწყურებულ ტუჩებად და ვიღაცას ცივი ბრჭყალები შეეხო მის გულს და ჩაეფლო შიგ.

— მე ცუდად ვარ!—რქვა გაფითრებულმა ღვთაებრივმა ავგუსტმა. მაგრამ, გახსოვდეს ელეაზარ! გახსოვდეს!

თითქო ნელა განირღვევ მძიმე საუკუნოებით დაკეტილი ბჭენი და ამოსულ ხვრელში ცივად და ნელა მოდიოდა საშინელება უსაზღვროსი. ორ ჩრდილივით შემოვიდენ სიცალიერე და წყვდიადი და ჩააქრეს მზე, ფეხებისგან გამოაცალეს მიწა და ახურავი სასახლისა მოაშორეს თავს. და შესწყდა, გაყინული გულის ტკივილი.

— გახსოვდეს, გახსოვდეს, ელეაზარ! უბრძანა ავგუსტმა. შესდგა ჟამი და საშინლად დაუახლოვდა დასაწყისი ყველა საგნისა მის დასასრულს. ახლად აშენებული დაიმსხვრა ტახტი ავგუსტისა და სიცალიერე იყო ავგუსტისა და ტახტის ადგილას უხმოდ დაიქცა რომი და ახალი ქალაქი გაშენდა მის ალგილას და გადაყლაპა სიცალიერემ როგორც მოჩვენებული გოლიათები ჩქარა დაიქცენ და გაჰქრენ სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალიერეში ქალაქები, სიხელმწიფონი და მხარენი და გულგრილად ყლაპავდა მათ გაუმაძღარი, შავი მუცელი უბოლოოსი.

— გაჩერდი!— უბრძანა იმპერატორმა. უკვე გულგრილობა ისმოდა მის ხმაში და ულონოდ დაეშვენ მისი ხელები და მოახლოებულ სიბნელესთან ამაო ბრძოლაში დაჰკრენ მისი არწივის თვალები.

— მომკალი მე შენ, ელეაზარ!—სთქვა მან უფერულად და ამ სიტყვებმა, უიმედობის სიტყვებმა იხსნა ის. მას მოაგონდა ხალხი, რომლის ფაშადაც ის არის მოწოდებული და მხსნელი. ტკივილით იგრძნო მისმა მიმკედარებულმა გულმა დასაღუპად განმზადებულნი, მწუხარედ გაიფიქრა მან: ნათელი ჩრდილნი უბოლოო წყვდიადში — საშინელებით გაიფიქრა მან: სუსტი ჯურჭელნი, ცოცხალი მოელვარე სისხლით, გულით, რომელმაც იცის მწუხარება და ლხენა, გაიფიქრა მან.

ასე ამ ფიქრით და გრძნობით ხან სიცოცხლის მხარეს სწევდა ის სასწორს ხან სიკვდილის მხარეს. ნელა დაუბრუნდა ის სიცოცხლეს რომ მის ტანჯვაში და ლხენაში ენახა შველა უბოლოო წყვდიადის და ბნელის წინააღმდეგ.

— არა, შენ ვერ მომკალი მე, ელეაზარ!— სთქვა მან მაგრად... მაგრამ მე კი მოგკლავ შენ, გესმოდეს.

იმ საღამოს განსაკუთრებული სიხარულით სჭამდა ღვთაებრივი ავგუსტი საჭმელს, მაგრამ მალმალე ჩერდებოდა ჭაერში აღებული ხელი და უფერული ბრწყინვა სცვლიდა მის თვალთა არწივისებურ ელვარებას და საშინელება გაყინულ ტალღასავით გაკრთებოდა მის ფეხებთან. დამარცხებული, მაგრამ ცოცხალი ის ციად უცდიდა თავის ტომს, ის შავ აჩრდილივით მთელ სიცოცხლეში იდგა სასთუმალთან და მორჩილად სცლიდა ნათელ დღეებს მწუხარებაში. მეორე ღღეს გახურებული რკინით, იმპერატორის ბრძანებით ამოწვეს ელეაზარს თვალები და გამოუშვეს ის სამშობლოში. მისი მოკლა ვერ გადასწყვიტა ღვთაებრიმა ავგუსტმა.

დაბრუნდა ელეაზარი უდაბნოში და მიიღო ის უდაბნომ ქარიშხალის სისინით და გახურებულ მზის სიცხით. ისევ იჯდა ქვაზე; ზევით აეწია ველური წვერი და ორი შავი ორმო ამომწვარ თვალების ადგილას იცქირებოდა ცაზე. შორს ხმაურობდა წმიდა ქალაქი და ახლოს ყველაფერი მომკვდარიყო და მუნჯობდა. არავინ არ უახლოვდებოდა აღგილს, სადაც თავის უკანასკნელ დღეებს ათავებდა სასწაულით ამდგარი და მეზობლებს დიდი ხანია დაეტოვებიათ თავიანთი სახლები. გახურებული რკინით შემწყვდეული თავის სიღრმეში, დაწყეველილი ცოდნა იმალებოდა იქ და არავის არ შეეძლო შეებედა ელეაზარისთვის. საღამოს, როცა მზე გადიდდებოდა, გაწითლდებოდა და დასავლეთისკენ გადიხრებოდა მასთან ერთად ნელად მიდიოდა ბრმა ელეაზარი. წამოკრავდა ქვებს ფეხს და დაეცემოდა. მძიმედ ადგებოდა და ისევ მიდიოდა და განთიადის მოახლოებაზე მისი შავი ტანი და აპყრობილი ხელები მიემსგავსებოდენ ვეებერთელა ჯვარს.

ისე მოხდა, რომ, წავიდა ერთხელ ის და შემდეგ არ დაბრუნებულა. ალბად აღსრულდა მეორე ცხოვრება ელეაზარისა, სამი დღე სიკვდილის საიდუმლო უძლურებაში ყოფილის და სასწაულით ამდგარის.

ფ. ფალიერ

ტყვე

ფ. დადიანი.

(გაგრძელება*)

— სადა ხართ, ყმაწვილებო, ამდენ ხანს?.. საყვედურით გამოეგება მოსულებს ერთი ცხვირწამწვეტებული, სახეზე გამხდარი, მხოლოდ ტანზე კი კარგა შემკერივებული ქალი.

ეს იყო ესტატე მდედლის ცოლი.

— ელისაბედ, მე შენი მაკვირვებს! სამოვარი აგერ მესამეჯერ გავაცხელებინე... ასე დაგვიანება როგორ იქნება?..

— კარგია, დედაკაცო, სეირნობა ნუ წაამწარე მაგ ხალხსა!—ოთახიდან გამოსძახა ვითომდა საყვედურით, მაგრამ მაინც რბილი კილოთი ესტატე-მღვდელმა და თვითონ ანაფორის ჩაკრეთ აივანზე გამოვიდა.

— წავამწარე კი არა!... მობრძანდით, მბტენბო, მობრძანდით!... ოოჰ, ზურაბ, ზურაბ!—

და მეტის მოფერებით და ლაქუცით გახსნა ზურაბისკენ დისახლისმა.

დისახლისი თავისებურათ დიპლომატი და გამჭრიახი ქალი იყო. ის კარგა ხანი იყო ამჩნევდა, რომ ზურაბი უმიზეზოთ არ დადიოდა მათსა. მერმე კიდევ ესე ხშირად. უთუოდ თიკოზე უჭირავს თვალიო. ელისაბედთანაც ჰქონდა ამის შესახებ ლაპარაკი დისახლისს.

*) იხ. „ოქრ. ვერძი“ № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ესტატე-მღვდელთან ერთად საოჯახო თათბირზე სამნივ შეთანხმდენ, რომ უკეთესს საქმროს თიკოსათვის ვერ მოძებნიდენ.

მხოლოდ ეხლა თიკოს თანხმობა-ღა იყო საჭირო.

თიკოსაც თუ სურდა?

ესტატე-მღვდლის მეუღლე არც იმდენათ დაგიდევდათ თანხმობას. მისი ფიქრით ადამიანის სულისა და სხეულის გაცემა, გათხოვება ისევ გარიგებით შეიძლებოდა. ეს წესი მას მაინც ჯერ საუკეთესოდ მიაჩდა, მაგრამ აქ კი... ესტატესთან, ელისაბედთან და განსაკუთრებით თიკოსთან იცოდა, რომ გარიგებით, შუამავლობით ვერას გახდებოდა და ამიტომაც იყო, რომ მანაც მხოლოდ სურვილი გამოთქვა თიკოს და ზურაბის დაქორწინებისა.

თიკოს გულის ნადების გაგება კი ძნელი იყო.

ძნელი იყო ესტატეს მეუღლისათვის. იმიტომ, რომ გრძნობდა თიკოს გული მას არ ეკარებოდა. გრძნობდა რომ თიკო არ იყო მისი მეგობარი. თიკო ამაყათ და ამრეზით ექცეოდა მას. მაშ როგორ ან რა ერჩია თიკოსთვის. მხოლოდ თუ სწუხდა და გული შესტკიოდა თიკოსთვის იმიტომ, რომ ოჯახური მომჭირნეობა, ერთ-გვარი ალღო ნათესავთათვის შეჭირვებისა უკარნახებდა ამას. ისე კი ვერ ამხელდა, თორემ კარგათ იცოდა, რომ არც მას უყვარდა თიკო. არ უყვარდა სწორედ იმიტომ, რომ ამაყი იყო თიკ , თითქო უკადრისი და ამ უკადრისობაში წმინდა და უმწიკვლო, როგორც გაყინული კამკამა წყარო. ეს სიწმინდე და უმწიკვლობაც კი აჯავრებდა დარბაისელ „ფოფოდიას“ და კარგათ ვერ გაერკვია, მაგრამ ვინ იცის თიკოს ყარყარა კისერი ერთ დროს დადრეკილი ენახა, თიკოს მბზინავი, შავი, სქელი თმა მედგარ ხელით გაწეწილი განეცადა... ვინ იცის მის გულს შეიძლება სიამეც ეგრძნო. მაგრამ ეს ბოროტი სურვილი ისეთ ბნელს კუნჭულში იყო ქვემძრომათ შეკეცილი, რომ შეგნების მხოლოდ მკრთალი ნათელი ადგა და ამიტომ თვითაც კარგათ არ იცოდა—მართლა იამებოდა თიკოს ცუდი თუ არა. ერთი კი იყო მისთვის გარკვეული: თიკო რაღაც სხვა ნაირი, გამოურკვეველი არსებაა.—ჩვენ არა გვგავს. მაშასადამე რაც დროით ჩავაყენებთ ჩვენებურს კალაპოტში ისა სჯობია, თორემ შემდეგ გვიანღა იქმნება, ჩვენს გაკვერილს გზას აცდებაო.

ძნელი იყო ესტატესთვისაც თიკოს საიდუმლოს მიღწევა. მას მხოლოდ უყვარდა ტკბილის, ქრისტიანულ-ნათესავური სიყვარულით თიკო; თიკოსაგანაც გრძნობდა მისდამი სითბოს, მაგრამ ისე შორი-შორს იყვენ მათი სულიერი და მიწიერი გზები, რომ მესაიდუმლოებას ესტატე ვერას გზით ვერ გასწევდა. არცა ცდილობდა ამ როლის ტვირთვას. მას უყვარდა თიკო, შეხაროდა მია სიყმაწვილეს და... როგორც მას, თიკოს უსურვებოდა!.. სხვა არც ესტატეს სურდა-რა. უნდოდა კეთილი, მისებური სიკეთე: გათხოვება, კარგი ქმარი, კარგი მდგომარეობა თიკოსთვის და ეგონა, რომ თიკოც ამ სიკეთეებს არ გადაცდებოდა.

ძნელი შეიქნა ელისაბედისთვისაც თიკოს გუნების გამოცნობა. თიკო მუდამ ხან ხუმრობით ხან უხუმრათ გაუსხლტებოდა ხოლმე მის ტკბილს, დედა-შვილურ გამომძიებლობას. მაგრამ მაინც არ კარგავდა იმედს დედის გულიც, რომ თიკო ჭკვიანი, თიკო ზრდილი ესეთსავე ღირსებით შემკულ ახალგაზდას, ზურაბს აირჩევდა.

ამიტომ იყო, რომ სამივენი საოჯახო თათბირზე შეთანხმდენ, ანუ უკეთ გამოსთქვეს სურვილი: კარგი იქმნებოდა თიკო ზურაბს გაჰყოლოდაო.

ჩაი აივანზე გამოიტანეს.

ზურაბს არ მოშორდა დიასახლისი. გვერდით მიუჯდა და გადამეტებულის თავაზიანობით უმასპინძლდებოდა.

სტუმრები გამხიარულდენ, მაგრამ ყველაზე მეტათ თიკო.

ელისაბედის სიხარულს საზღვარი არა ქონდა.

ზურაბი ხომ შეფრფინვით შესცქეროდა.

მაგრამ ყველაზე მეტათ ეტყობოდა ტიტიკო იყო მოჯადოებული. მისი ჩოფურა, ჭმუხი სახე სანეტარო ღიმილის ღარებათ ქცეულიყო და უჩვეულო ელფერი დადებოდა. ეტყობოდა ეს სახე არ იყო ღამილს ჩვეული და თითქო იბრძოდა მის სახეზე ორი გამომეტყველება: ნეტარებისა და პირქუშობისა. მაგრამ აგერ ძლია სადმა, ძალდაუტანებელმა სიცილმა და მისი ბაგე-პირი ფართო სიამოვნებათ გაიშალა.

ფაცია თვალს არ აშორებდა ტიტიკოს. უეცრად მისი სახეც გაკვირვებათ იქცა. იგი უკმაყოფილო წამოდგა სუფრიდან და აივნის მეორე მხარეზე გადავიდა.

თვალები სიბნელეს გაუშტერა.

დიდხანს მოსდიოდა მის ყურს სუფრაზე მსხდომთ მხიარული ჟრიამული. მაგრამ აი წამოიშალენ. ტიტიკოც, ვით ნაწვიმარზე ცხოველ მზისგან გასპეტაკებული მცენარე, სახე-გაშლილი, ბედნიერი კიბისაკენ გაემართა.

ფაციამ დაინახა და გონებაში გადაწყვიტა;—ან ეხლა, ან არასოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჭრით გადადგა ნაბიჯი და მალე დაეწია ტიტიკოს.

— ტიტიკო, თქვენ არ წამოხვალთ? ტიტიკო შეკრთა ამ კითხვაზე, პირველად კარგათ ვერც გაიგო.

— წავიდეთ, ტიტიკო, მე გთხოვთ.

— კი, მაგრამ აკი ელისაბედმა გვთხოვა. მოვედით კიდეც, უზრდელობა იქმნება,

— არაფერია. ელისაბედთან მე მოვიხდი ბოდიშს...

ტიტიკო ჩუმად იყო.

-- არც ისე შორსა ვართ. გეზარებათ?

ტიტიკოს გული ჩაწყდა. თითქო საუკეთესო სათამაშოს ხელიდან ართმევენ ბავშსაო. თითქო მშვენიერ წიგნის კითხვა დაუშალესო. გაახსენდა მამა მისი „ბუზლუნა ყაზახი“, გაახსენდა სკოლა, გაახსენდა ციხე და იქაური ზედამხედველები. ყველგან რომ შხამავდენ ხოლმე ბედნიერ წუთებს. არ აკეთებინებდენ იმას, რისი გაკეთებაც თვითონ უნდოდა. მერე, აქ რომ არც ერთი არის, არც მეორე? აქ რომ ფაციაა. ამხანაგი ფაცია. რიგიანი და წესიერი ადამიანი. ან და რა უბუნებო მოთხოვნაა? ფაცია ეუბნება, რომ სახლში წავიდენ. ფაციას სკოლაში, ფაციას ბებერ დედასთან, საცა სტუმრათ არის ტიტიკო ჩამომხტარი. რა არის აქ გასაკვირი? რამდენჯერ მომხდარა ევრე? სტუმრათ ყოფილან ორივენი და შემდეგ სახლში ერთად დაბრუნებულან. ამას მთელი სოფელიც მიეჩვია. არც არავინ ჭორიკაობს მათზე. ფაციას დიდი პატივისცემა აქვს სოფელში დამსახურებული და მასაც ამ მხრივ მაინც ყველა ენდობა. იციან, რომ ის უხმარი კაცია. ფუქსავატურს არას იკადრებს. ეგეც არ იყოს ექვათ ყველა ლაპარაკობს, რომ ეგ ორი დანიშნულებიც არიანო. მაშ რათ ჩაწყდა გული? რათ შეაკრთო ფაციას სიტყვებმა? თუ ფაციაც მიმხვდარია? რას? განა ისეთი თვალსაჩინო რა ჩავიდინე? ვინ რა იცის ჩემი გულის საიდუმლო? ან კი მაქვს ეგ საიდუმლო?..

ტიტიკოს გონების წინ თიკოს ნაკვთმა გაირბინა და კიდევ მეტი გულის დაწყდომა იგრძნო.

ფიქრიც ველარ შესძლო. სახე მთლად მოეღუშა და გაუბოროტდა. კიდევ კარგი, რომ ღამე იყო და ფაცია ვერ შეატყობდა მღელვარებას.

ორი წუთის შემდეგ განცვიფრებული მასპინძლებს გამოეთხოვენ ორივენი და გასწიეს სოფლის ორღობით.

გზაზე ცოტა მოჯობინდა ტიტიკო.

გონებამ სძლია უეცრად მოფრენილ უცხო გრძნობას თიკოსადმი და დაუდასტურა, რომ მისი „მეუღლე“ მხოლოდ ფაცია უნდა იყვეს.

გადაწყდა.

ეს ამბავი ფაციასაც ამცნო.

ფაციასაც მეტი არა უნდოდა-რა. ის, როგორც პრაქტიკული ქალი მაშინვე შეუდგა იმის მოსაზრებას თუ შემოდგომისთვის სად იცხოვრებდენ ორივენი, როგორ მოეწყობოდნენ. მოლაპარაკების შემდეგ დაასკვნეს, რომ ისევ თბილისს წასულიყვენ და ერთს გაკვეთილებით ერჩინა თავი, მეორეს კი პრესაში მუშაობით.

მთვარე უკვე ამაყათ შეეჭრა ცის ტატნობს და გამოაჩინა ფაციას კმაყოფილი და ტიტიკოს თითქო ბედს შერიგებული სახე-პირი.

ტიტიკო მაინც გრძნობდა, რომ მისი გონების გალიაში უმწეოთ ფრთქიალებდა სანეტარო, მაგრამ აწ საუკუნოთ მისთვის დალუპული გრძნობა...

ესტატე მღვდლისას კი ელისაბედი და დიასახლისი ვახშმის მოსაკვირებლათ წავიდენ.

ზურაბი და თიკო აივნის ბნელ-ყურეზე განმარტოვდენ.

ხოლო სანდრო და ესტატე-მღვდელი ერთ-ხანს საუბრობდენ აივნის მეორე მხარეზე, სუფრასთან, მაგრამ მთვარემ ამოჰყო თუ არა თავი, სანდრო განშორდა მას და ეზოში გავიდა. მიმავალმა დაინახა განმარტოებული თიკო და ზურაბი, ისონი და ციფალუქი.

გულში გაეცინა და მთვარეს შეხედა:

— ჰმ, რამდენ შეყვარებულებს მოსავ შენის ზღაპრულის სხივით!-. აი აგერ ერთი წყვილი, მეორე... ჰა, ჰა! მესამენი კიდევ გაგვექცენ, გზაში არიან...

გაახსენდა ფაცია და ტიტიკო.

— ბედნიერი ყოფილა ეს კუთხე!

გაიფიქრა გულში და ერთი მძლავრათ ამოისუნთქა.

(დანარჩენიც შემდეგ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჭალადიდელი.

თხზულებანი გამოცემას კამა.

გ. ჭალადიდელს საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენი ლიტერატურის მეორე ხარისხოვან მგოსნებში. „მახსოვს პირველად სასწავლებელში“, „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“ და სხვა ამგვარ ლექსების ავტორის თხზულებათ შეკრება საჭირო იყო ჭალადიდელის სახელის ღირსეულ პოპულარიზაციისათვის.

ამ მიზანს მიაღწია მგოსნის ვაჟმა, ბორისმა, რომელმაც „საამდროვო გამომცემლობის იმერეთის“ ხელმძღვანელის ის. კვიცარიძის დახმარებით, სუფთათ და ლამაზათ გამოსცა თავის მამის ნაწარმოები. კრებულს წინ ახლავს ჩვეულებრივ შინაარსიანად, ირონ მეუნარგიას მიერ შედგენილი ბიოგრაფია მაქმ კოჩაკიძისა (ჭალადიდელის), სადაც ბიოგრაფიის შემადგენელს, მგოსნის ცხოვრების აწერასთან ერთად, მოჰყავს საყურადღებო ცნობები 70 და 80 წლებზე.

კრიტიკული ეტიუდი ეკუთვნის ივ. გომართელს.

ვინც დაინტერესებულია ჩვენი ლიტერატურით, მისთვის ახალი გამოცემა სასარგებლო წიგნია.

„ოქროს ვერძის“ ქრონიკა.

— დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება **რუსთაველის** საღამო. პირველ განუოფილებაში დაიდგმება **რუსთველის** ტოტხალი ძეგლი. ეკეკი წაიკითხავს თავის ლექსს „სულ მნათო“, დ. კლდიაშვილი წარმოთქვამს მამრთავს. მეორე განუოფილებაში გრ. რობაქიე წაიკითხავს დექმეს „რუსთაველის ხელოვნება“. მესამე განუოფილებაში ჩატო ზარაშიძის ასული, გრ. რობაქიძე და სხვ. წაიკითხავენ ადგილებს „ვეფხის-ტყაოსნიდან“. დასასრულ გაიმართება ტოტხალი სურათები:

— ქუთაისში ჩამოსულმა „მოგზაურმა დასმა“ ერთი წარმოდგენა გამართა შაბათს 15 ივნისს. დასი ეოფილ კახეთში და რამდენიმე წარმოდგენა გაუმართავს სხვა და სხვა ადგილს. ქუთაისიდან დასი მიეგზავრება რაჭაში. მეტად სასურველია ასეთი კულტურული მოღვაწეობა ჩვენა ახალგაზრდა დასისა.

— **ქუთაისის დრამატიული საზოგადოების** გამგეობა თავს ანებებს თანამდებობას. ამ შემთხვევას შემდეგ ნომერში გეძღვნით წერილს.

— **გრიგოლ რობაქიძემ** დასწერა ლეგენდა **ნიღოსის ეკვიდი.**

— **დღეს** დ. ხონში იხსნება **საზაფხულო სეზონი.**

— **ბურნულ** გაზეთების კანტორამ „იმერეთმა“-მა მიიღო ან. ხოშტარია-ერისთავის ქალის რომანი „მოდიეულ გზაზე“.

— ქუთაისში ირსდება „**რუსთველის** საზოგადოების“ განუოფილება.

— **მოსკოვის** ეხლად დარსებულ „თავისუფალ თეატრ“-ში, თანამშრომლად იწვევენ ჩვენ თანამემამულეს **გ. ლეონიაშვილს.**

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაბანი.**

სტამბა ძმობა „ბაზაკოვის ქუჩა № 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართულია ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო გაზეთზე“ წელიწადი მეოთხე.

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა. გაზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება.**

(ᲙᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ)

ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲗ წდიური ხედის მოშწერნი 1913 წლის განმავლობაში **ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ**

ᲝᲠ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ:

1) უცხოეთის მწერლები.
ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები.
ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება ეკენისთვეში.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ; როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მანეთად და 10 შ. ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ, 7 მ., 10 შ: 9 თ. 6 მან. 5. შ., 8 თ. 6. მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 შ., 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. სახღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ. 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2. მ., 1 თ. 1 მ., Ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოსაცელელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 კაპ. დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით.

ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ. 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმეებში დილის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის ერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოსტით: Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо газети“ поч. ящ. 190.